კვირა, 23 ოქტომბერი 1916 წ. | რედაქციის მისამართი: ოდესა, ოლდის ქუჩა, № 6. | ფასი 15 კაპ.

ეროვნული მათრახი

ეროვნული-სოციალისტ. ჟურნალი

№ 43

F644

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ბერიძე

ვ ი რ ე ბ ი

(მხიბლავი ზღაპარი კარიკატურებით).

სოფელ სან-პერდუს მასწავლებელს ბედი არა სწყალობს. ბავშვები ძლიერ ზარმაცობენ და მშობლებიც ძალას არ ატანენ უფრო ბეჯითი იყვნენ. რაკი დარწმუნდა მასწავლებელი, რომ ყოველგვარი ცდა ამაოა, ბავშვებს სრული თავისუფლება მიანიჭა.

ბავშვებმაც, სწორეთ, ისე ისარგებლეს მინიჭებული თავისუფლებით, უარესად რომ აღარ შეიძლებოდა.

ერთხელ, მთვარიან ღამეში, მასწავლებელი სოფლის გარეთ სასეირნოთ გავიდა. ის ფიქრობდა თავის მოსწავლეებზე, იმათ სიზარმაცესა და წერა-კითხვის სიძულვილზე; ფიქრობდა თავის მწარე ხვედრზე.

— რისთვის არ შემიძლია გადავაქციო ისინი ვირებათ? — სასოწარკვეთილებით წამოიძახა ნან.—ვირების აღზრდა უფრო ადვილია, ვიდრე ამ ტუტუცებისა!

— სურვილი შენი აღსრულდება! — უპასუხა მაღალი ქვიდან ᲮᲣᲮᲐ მახინᲯმა. — მე ჩიდა სამაგიერო მადლობა გადაგიხდო შენი პატივისცემისათვის. ბოროტმა სულმა [illegible] რა ჩიტათ მაქცია. შენმა მოწაფეებმა დამიჭირეს და ბუმბულის გაწიწკნა დაბ[illegible]სი ნება არ მიეცი მათ. აი ამის სამაგიეროთ მე გაძლევ საშუალებას უეცრივ ვირებათ გარდაჰქმნა მთელი ამ სოფლის მცხოვრებნი. ამასთანავე შენ შეგეძლება მათ დაუბრუნო აწინდელი ადამიანური სახე, მხოლოდ იმ პირობით, თუ კი ამის სურვილს თვითვე განაცხადებენ.

დილით სკოლაში ჩვეულებრივი ისტორია განმეორდა. არც ერთმა მოსწავლემ გაკვეთილი არ იცოდა. ხმაურობა და ცელქობა ერთი წუთით არ შეწყვეტილა.

— რა კი ეგრეა, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! — წარმოსთქვა მასწავლებელმა. — ამიერიდან იქეცით ვირებათ!

ბავშვები მყისვე ჩოჩრებათ იქცენ.

მაგრამ დახეთ უბედურებას! წინააღმდეგ მასწავლებლის მოლოდინისა, ამ გარდაქმნამ აუწერელი მხიარულება გამოიწვია პატარა ჩოჩრებში. რაკი დარწმუნდა მასწავლებელი, რომ პატარა ზარმაცების დარცხვენა და მათი კეთილ გზაზე დაყენება შეუძლებელია, წინადადება მისცა მათ ისევ პირველ-ყოფილი სახის მიღებისა.

— ჩვენ არა გვსურს! - ერთხმათ მიუგეს ჩოჩრებმა. — ახლა ჩვენ თავს უკეთა ვგრძნობთ. ჩოჩრებს სკოლებში არ აგზავნიან. ჩვენ შეგვიძლია ვიცელქოთ და ვიხტუნაოთ რამდენიც მოგვესურვება. . ოჰ, რა ბედნიერებაა!

ისინი ლაპარაკობდენ, რასაკვირველია, ვირულათ, მაგრამ მასწავლებელს ახლა ჩინებულათ ესმოდა მათი ენა.

შუადღე ჩამოდგა. მასწავლებელმა ვერ გაბედა შვილების მშობლებთან გაგზავნა. ჩოჩრები რომ გამოეკვება, ითხოვა მეზობლის ცელი, გასთიბა ნორჩი ბალახი და მოიტანა სკოლაში.

უჩვეულო საქმიანობა მასწავლებლისა ძლიერ ეუცხოვა სოფლელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ბავშვები სადილათ სახლში არ დაბრუნდენ, მშობლებს დასჯილი ეგონათ. რაკი ბავშვები საღამოსაც აღარ გამოჩნდენ, მშობლები შეშფოთდენ. სკოლის წინ მყვირალა ბრბო შეგროვდა. მასწავლებელი სკოლაში ჩაიკეტა. დედაკაცები არწმუნებდენ ქმრებს, რომ ბავშვები მდინარეზე სბანაოთ წავიდენ და ყველანი დაიხრჩვენო. გლეხებმა კარების შემტვრევა განიზრახეს.

მხოლოდ ახლა გამოუშვა მასწავლებელმა ჩოჩრები. ამ სანახაობამ გლეხები შიშით გააქვავა.

— ეგ რას ნიშნავს,—დაიძახა მერმა...—სად არიან ჩვენი შვილები? ახლა მივხვდი რაშიაც არის საქმე. თქვენ მოსწავლეებს სახეტიალოთ უშვებთ, ხოლო თითონ კი აქ ვირებს აშენებთ. თქვენ იმისთვის როდი გაძლევთ ჯამაგირს, რომ სავაკრო დაწესებულება გახსნათ. თქვენი ადგილი სატუსაღოა! სად არიან თქვენი მოსწავლენი, სადა?

ბრბო გააფთრდა. კიდევ ერთი წუთი და მასწავლებელს წესს აუგებდენ, მაგრამ მან ალაპყრო ხელი და წარმოსთქვა გრძნეული სიტყვები:

-- ვირად იქმენით!

გარდაქმნა მყისვე მოხდა. ვირები მაშინვე დაწყნარდენ, რაკი თავისი ჩოჩრები იცნეს, და აქეთ იქით წავიდ-წამოვიდენ.

მასწავლებელი დარწმუნებული იყო, რომ დიდი ვირები უფრო გონივრები ყოფილნ-ბოდენ, მეორე დილითვე მიეიდოდენ მასთან და პირველ-დელ სახის დაბრუნებას მესთხოვდენ.

მასწავლებელი მოსტყუვდა. არც ერთმა გარდაქმნილთაგანმა აღარ ისურვა კვლავ ადამიანათ გახდომა. სოფელი დაიცალა. სამაგიეროთ საბალახოზე აუწერელი სიცოცხლე და მხიარულება გამეფდა. ცხოველები სრულიად კმაყოფილი იყვენ თავისი ბედისა.

მასწავლებელმა იშოვა დოლი, დაუკრა და საჯაროთ გამოაცხადა: მსურველს მყისვე დაუბრუნდება უწინდელი სახეო.

მას აუწერელი პროტესტითა და უკმაყოფილებით გასცეს პასუხი.



მეორე დღეს მასწავლებელმა განიზრახა კერძოთ მოლაპარაკება სოფლის წარჩინებულ პირებთან. სოფლის მერი (მამასახლისი), მოყვითალო ვირათ გარდაქმნილი, თავის ბოსტანში კომბოსტოს შეექცეოდა. მასწავლებელმა მოაგონა მას, რომ იგი ყველაზე უფრო მდიდარია სოფელში, რომ ახლა დროა ხენა-თესვისა, რათა შემდეგ სხვა საქმეები მოესწროს.

— ძლიერ მესაჭიროება შენი ხენა-თესვა!—დაიყოყინა მერმა,—მინდორზე თავისით ამოვა ბიბინა ბალახი, რომელიც შენს პურზე უფრო გემრიელია.

ვაჭარმა გადაჭრით განაცხადა, რომ გაცილებით უფრო გონივრულია თითონ სვა და სუამო თუ რამე მოგებობა, ვიდრე სხვას მიჰყიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის დარაჯი არ მოსტყუვდა მასწავლებლის დაპირებით წაენსიის შესახებ.

სოფლის მგალობლები ირწმუნებოდენ, რომ მათი ხმა ახლა გაცილებით უფრო მძლავრი და ღონიერია. სანიმუშო საგალობელი ისეთი ღირსებისა გამოდგა, რომ მასწავლებელი კინაღამ დააყრუა.

სოფლის გოგოები უზომო მხიარულნი არიან, რომ მათ აღარ უწევს ძროხის წველა, სადილის მომზადება, სარეცხის რეცხა. ახლა მთელ დროს სიყვარულსა და გასართობებს ანდომებენ.

მასწავლებელმა ახალგაზრდობას მიმართა, მათი თავმოყვარეობის გაღვიძება სცადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გახსოვდეთ, რომ ვირებსაც ეკისრებათ თავისი სამსახური. მათ სახლეებსა სცემენ!

— სოფელში შენს მეტი კაცი არ მოიპოვება და აბა სცადე ცემა, თუ გული გერჩის! უპასუხეს მას.

მასწავლებელი დაღონდა. მას მარტოობა ხვდა წილათ. სახლები სულ ცარიელი იყო, არა თუ დღითი, არამედ ღამითაც, ვინაიდან მშვენიერი ამინდი იდგა. ის ყოველგვარი ფუ-ფუნებით უზრუნველყოფილი იყო. მის განკარგულებაში იყო ყოველი სახლი სოფლისა. იჯდა მერის საკარძელში და კითხულობდა მის გაზეთებს.

მერისავე სარდაფში აღმოაჩინა მან საკმაო საგზალი ჩინებული ღვინოებისა.

მაგრამ მარტოობა მაინც მოსაწყენი შეიქნა. საჭირო დარჩა ზოგიერთ მოსაწყენ საქ-მეთა შესრულება.

მას დაჰქონდა წისქვილზე ხორბალი დასაფქვავათ. იძულებული იყო თვითვე გაერეცხა საკუთარი საცვლები, მოეზილა ცომი და სხვა.

ის არა ერთხელ და ორჯერ მიუჯდა საწერ მაგიდას, რათა ეცნობებია მთავრობისათვის სოფლის საქმეთა ვითარება, მაგრამ მოხსენება ისეთი უცნაური უნდა გამოსულიყო, **რომ** კალამი ხელიდან უვარდებოდა, ვიდრე პირველ სიტყვას დასწერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარიან ღამეში ის მოუწოდებდა ჯუჯა მახინჯს და შველას სთხოვდა, მაგრამ ჯუჯა მხოლოდ დასცინოდა და ერთ სიტყვასაც არ ეუბნებოდა.

მასწავლებელს უთუოდ ჯავრი გადაიტანდა, რომ უცებ თავში ბედნიერი აზრი არ მოსვლოდა. ამან შეადგინა განცხადება: ჩვენს ჯარში განზრახულია ბარაბანთა განახლება. ამიტომ ყველა გასაყიდ ვირს შეიძენს სამხედრო მთავრობა 50 ფრანკათ თითოსაო.

მან გაიხმო მერი, წაუკითხა განცხადება და უთხრა:

— ჩვენ აქ ათასი სული ვირი გვყავს. თუ თითოს 50 ფრანკათ გავყიდით დიდძალ თანხას მივიღებთ. მოდი გავყიდოთ ეგ სულელები. მოსაგები თანასწორათ გავინაწილოთ. მაგრამ თქვენ უწინდელი სახე უნდა მიიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ თითონ გაგყიდიან სხვა ვირებთან ერთად.

მერი მყისვე დათანხმა. კაცად ქცეული ჩუმათ სახლისკენ გაეშურა. მასწავლებელმა იგივე გაიმეორა ცალ-ცალკე ყველა დანარჩენ ვირებთან და არც ერთს არ განუცხადებია უარი დანარჩენ ვირების გაყიდვაზე.

საღამოს ყველა ვირი ადამიანათ იქმნა გადაქცეული. ღამით ყველა გამდიდრებაზე ოცნებობდა. დილით კი იმედი გაუცრუვდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხებს არ უნდოდათ გამხელა, რომ მზათ იყვნენ მოყვასთა გასასყიდათ, მაგრამ ყველის სახეზე მწუხარება და უსიამოვნების კვალი უჩანდა, უსიამოვნება იმ, რომელმაც ნაღდი 25 ათასი ფრანკი დაჰკარგა.

მასწავლებლის მხიარულებაც ნაადრევი გამოდგა. გლეხები გააფთრებით ეკვეთენ მას. ეკვეთენ და გააძევეს სოფლიდან.



შურის ძიების გრძნობით ანთებული მასწავლებელი კვლავ ეწვია ჯუჯა მახინჯს. მას უნდოდა თავისი მტრები ახლა საბოლოოთ გარდაექმნა ვირებათ.

— ეგ ჩემს ძალ-ღონეს აღემატება,—მიუგო ჯუჯამ—მაგრამ თუ გსურს მე შემიძლია შენ თითონ გარდაგქმნა იმ ცხოველათ, რომელსაც მოისურვებ.

რა უპასუხა პედაგოგმა, არავინ იცის. ლეგენდა გვარწმუნებს, თითქო მან რწყილათ ისურვა გარდაქმნა.

თარგმანი ეშმაკისა.

ქართველი ჟოლოვანი

დათა ბუქაძე.

როგორც კარგი დიასახლისი ოჯახს, აგრეთვე კარგი რეპორტიორი გაზეთს დამშვენებს, ააშენებს, ფეხზე დააყენებს.

რეპორტიორობაში კი ვანუა ტურაძეს კაცი ვერა სჯობია. ის აგერ ხუთშეტი წელია მუშაობს რედაქციაში და არა თუ მას იცნობს მთელი ქვეყანა, ის თითონ ქმნის ჩვენი პატარა და მშვენიერი, მაგრამ ღარიბი ქვეყნისთვის სახელოვან და ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს.

და განა ვინ არ იცნობს ჩვენს დაუღალავ მუშაკს, დათა ბუქაძეს!

„მისი სახელი,
თუ არ უმეტეს
მზისა და მთვარის
არი სიფართო...
ვის უნდა ჰკითხოთ
რომ არ იცოდეს
დიდი ბუქაძე
ვინ არის დათო!“ (ს. ზ.)

მაგრამ სულ რაღაც ორიოდ წლის წინათ დათა ბუქაძის სახელი მხოლოდ მისმა შინაურებმა იცოდენ, ხოლო გარეშეთა შორის მარტო ყურყუმეთის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა, სადაც დიდის გაქვრებით,დათამ კურსი დაამთავრა. დიაღ, სულ ორიოდ წლის წინათ შეხვდა დათა ბუქაძე (ერთ-ერთ შუაბჭრის სარდაფში) სახელოვან რეპორტიორს, ვანუა ტურაძეს და სუფრაზე მიიპატიჟა.

იმხიარულეს. იქეიფეს და დათვრენ. ის ღამე ვანუა ტურაძემ დათას ოჯახში გაატარა და მეორე დღეს სადილიც იქ მიირთვა. მესამე დღეს გაზეთ **„საჩეზელში„** სიტყვა სიტყვით შემდეგი ცნობა იყო მოთავსებული:

„—როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ჩვენს ქალაქში ჩამოსული და სამუდამოთ დარჩენას აპირებს ცნობილი აგრონომი და სოფლის მეურნე დათა ბუქაძე. პატივცემული აგრონომის ჩამოსვლით ჩვენს ადგილობრივ მოღვაწეთა ჯგუფს ერთი სასარგებლო წევრი შეემატა.“

კვირას სადილზე დათა ბუქაძე ერთობ მხიარული იყო და სიმართლე უნდა თქვას სადილიც საგანგებო ჰქონდა. ვანო ტორაძე ჩიტოლითა ჰკლავდა ყველას, როცა თავის თავვარდასაჭრელს მოყვებოდა ხოლმე.

—ბიჭო, ეს აგრონომობა საიდან მომაწებეშე ოხერო, რომ არ ვიცი?—გაკვირვებით ეკითხებოდა დათა ძვირფას სტუმარს.

—განა შენთვის სულ ერთი არ არის? დღეს ჩვენში ამ დარგსა აქვს მოწონება და ეს შეგძენ ხვალ სხვა იქნება და მეც სხვა საგნის სპეციალისტათ გამოგიყვან. ერთი და ორი ხომ არ გამიდიან კაცებია ასე? ტყვილათ როდი ამბობენ: —ესა და ეს კაცი „ვანოს მოღვაწეაო“.

—კარგი ბატონო, მაგრამ რაზე დაგჩირეთ ამ ამბის მიწოდება საგაზეთოთ?—კრძალვით შეეკითხა ტურაძეს დათას მეუღლე ვარდო, რომელიც ჯერ არ იცოდა რა სარგებლობა მოაქვს ოჯახისა თავის „მოღვაწე ქმრის“ ყოლას.

—ეს ჩემი საიდუმლოა ქალბატონო. ჯერ ჩემი მეუღლისთვისაც არ გამიმხელია მთელი ჩემი ოინები, მაგრამ თქვენ არ დაგიმალავთ და გეტყვით. ამ ცნობამ მე შემძინა: ცამეტი შაური ფულად, რადგან იგი 13 სტრიქონია, და სტრიქონში შაური მეძღვევის, შემდეგ ჩვენი რედაქტორის მადლობა—საქმისადმი ერთგულებისათვის და თქვენ ნახელავი მშვენიერი სადილი. მე საალალბედოთ ან საქველმოქმედოთ არც დავაცხინკვებ. საზოგადოთ საქმის დროს ჩემი დევიზია:—კვიცის გასეირნაც და მამიდის ნახვაც“.

—ჯერ ამ ქალაქში ნაცნობი არავინა მყავს, მაგრამ შემდეგში რომ მკითხოს ვინმემ მეურნეობის შესახებ რა ვქნა, რა წყალში ჩავარდეს სასოწარკვეთილებით იკითხა დათამ, ვინაიდან ის ჯერ კიდევ არ იყო საზოგადო მოღვაწე როლში გაშინაურებული და ტყუილსა და ალალ ბედზე ლაპარაკს უჩვევი იყო.

—შენ ფიქრი ნუ გაქვს.—ანუგეშა ვანუამ—თუ ლაპარაკის ხასიათზე არ იყვე ნუ უპასუხებ ნუ რაფერს, ხოლო თუ ლაპარაკი არ გეზარება ილაპარაკე რაც გინდა. საქმე სახელია, თორემ რა ლაპარაკობ იმას ვინ დაგიდევს. სანდრო ქაჩალა შვილი მე გამოვიყვანე ასეთ სპეციალისტათ. ერთხელ კრებაზე სთქვა:—ჩვენში ამდენი მუხებია და მა-

ვირს ნიგოზი რათ გაძვირდა ასე საშინლათო". შენც ასე მოიქეცი, რა ხეს რა ხილი გინდა ის გამოაბი, უმთავრესი კი სიჩუმეა.

პირველ ხანებში დათა ბუქაძე საზოგადოებაში არ გამოდიოდა. მიუხედავათ ამისა გაზეთი „საჩეჩელის" ქრონიკორის მეთხებით ის თითქმის ყველა კრებას „ესწრობოდა".

3 აგვისტოს ნომერში ასე ეწერა:

„ჩვენი ახალგაზრდა მოღვაწე დავით ბუქაძე საბჭოს საგანგებო მიწვევით დაესწრო ქართველ „მეთევზეთა საზოგადოების" კრებას. მას დაავალეს გამგეობასთან ერთად ინახულოს თევზის სამრეწველო .ადგილები და დასწეროს ამის შესახებ მოხსენება".

6 აგვისტოს, ფერის ცვალება დღეს, დათა ბუქაძისას სადილზე სიცილი არ შეწყვეტილა. ვანო ძლიერ დაუახლოვდა ბუქაძის ოჯახს და სადილის განკარგულებას გაზეთის ქრონიკაში აძლევდა.

—აი კეთილი ნაყოფი „მეთევზეთა საზოგადოების" სხდომისა, სიცილით ბუტბუტებდა ვანო, და ჩასაცივებული ზუთხის მოზრდილი ნაჭერი თავის თეფშზე გადმოჰქონდა.—ძეგელოვიც კი ვერ ამოარჩევს ასეთ გემრიელ თევზებს.

— ეგ ვთქვათ ასეა, მაგრამ თევზი ჩემი მეუღლის ამორჩეულია და არა ჩემი,—შენიშნა დათამ.

—სულერთია! ცოლი და ქმარი ვინ გაჰყო. აი შენ მიყურე კვირის ნომერში სად აგახტუნო. მაგრამ ერთის პირობით: კრებას დაესწარი და ხმას ნუ ამოიღებ.

კვირას, საზაფხულო თეატრის დარბაზში სიტყვა კაზმულ მწერლობის მოყვარულ საზოგადოებას კრება ჰქონდა დანიშნული „თან" ისა და „დონ" ის წერის შესახებ. შაბათის ნომერში გაზეთი „საჩეჩელი" აცხადებდა:

„მპოვნელთა საყურადღებოთ!.

გუშინ, რკინის გზის ვაგონში, დავკარგე პატარა სამგზავრო ყუთი, რომელშიაც მქონდა ორი მოზრდილი რვეული ხელნაწერი. ერთი წარმოადგენდა პოემას (ვეფხის ტყაოსნის მაგვარს) მეორე კი გრამატიკულ გამოკვლევას ქართული ენის ზმნის შესახებ. იქვე იყო სხვა საბუთები და ფულად 706 მანეთი. მპოვნელს უმორჩილესად ვსთხოვ: ფული თითონ დაიტოვოს, ხოლო ძვირფასი ხელნაწერები, რომელთა შავი არ გამჩნია **[illegible]**.

პატივისცემით **დათა ბუქაძე.**".

ზემო აღნიშნული კრებაზე დათა ბუქაძე არავის დაუნახავს, ვინაიდან უკან, დარბაზის ბნელ კუთხეში იყო ატუზული და მოუთმენლად ელოდა კრების გათავებას, რასაც ერთობ აჭიანურებდა ვიღაც მოხუცი ჭრიაშვილი, თავისი დაუსრულებელი ლაპარაკით. ქვეყანაზე დაუსრულებელი ბევრი რამ არის, მაგრამ აღნიშნული კრება გათავდა საღამოს 2 საათზე და საშინლათ დაქანცული დათა ბუქაძე სახლში დაბრუნდა. ვანოს არ ეცალა დღეს და ამიტომ დათამ ვერ გაიგო რას უმზადებდა მას მომავალი ნომერი გაზეთი "საჩეჩელისა".

ეშმაკი.

(შემდეგი იქნება).

რიცხვი თვისა ოცი

დღეს სოსომ ჯამაგირი აიღო. ერთი თვისა ათი თუმანი. ამიტომ იგი არხეინად სტვენით მიეშართება თვის სადგომისაკენ.

მისი პატარა ოთახი ისევე დარდიანად გამოიყურება, როგორც უწინ.

— „ეშმაკმა იცის როგორა ვცხოვრობ! კაცი თვეში ათ თუმანს ვიღებ და ამ სოროში კი ვბინადრობ. ფუ! დახე, დახე როგორ ჩამოსტირიან კედლები!.."—"შენ, ეი, აკაკი—მიმართა მან კუთხეში ჩამოკიდულ მგოსანის სურათს—რას მოლრეკილხარ? ლუ-სმანი გაკლია არა?...

ერთი იმას დახე—მიუბრუნდა იგი კუთხეში მიჯდებულ ცხვირ-მოტეხილ ლ. ტოლსტოის ქანდაკებას—მანდ არის შენი ადგილი? აი, ამ მაგიდის

თავში უნდა იდო, შე უბედურო, შენა... ფუ! შენი ოთახობაც დაიქცა.“

სოსომ გულიანად გააფურთხა, ჩამოიცვა თავზე რბილი პანამა, სამმართველოს ფორმის ქუდის მაგივრათ და გამოვიდა ქუჩაში.

პირველ ყოვლისა მან შეიძინა თამბაქო.

ათი ცალი ორ-აბაზიანი—სატახტო ქალაქიდან მოტანილი—საუკეთესო ქარხნისა. ერთი თვეა მის პირში პაპიროსი არ გაუჩაჩანებულა.

— „ახლა კარგია ერთი რიგიანი ტანსაცმელი შევაკერინო“. თერძი ახლო იყო.

— ეს მაუდი რა ღირს?

— შვიდი თუმანი შეუკერავათ.

— აიღეთ ზომა.

ზომა აღებულია.

— შეკერა რა ღირებს?

— სამი თუმანი, ბატონო!

— აი ეს ოთხი თუმანი! ერთ კვირაში მზად იყოს. დანარჩენსაც მაშინ მიიღებ. საკანდ-ტროში შესვლა მას სამი მანეთი დაუჯდა...

— რამდენი ხანია ცირკში არა ვყოფილვარ. კარგი იქნება დღეს წავიდე.

საღამოს სოსო ცირკში პირველ რიგშია გამოკიმული და სიამოვნებით ისმენს მასხარათა ხუმრობას, მუსიკას... უმზერს ჩინელების გასაოცარ ხტუნაობას და მოჯირითე ქალების ტანთა კოხტა მოხაზულობას.

„რა ლამაზია ის პატარა!..

ცირკში შესვლა ბევრი არაფერი დაჯდომია, სულ რაღაც ოთხი მანეთი.

შუა ღამისას, როდესაც სახლისკენ მიემგზავრება, იგი რესტორან „ეარსკლავს“ მიუახლოვდება „ჰმ, მაშ ის კაცი რაკაცია, რომ რიგიანათ არ ივახშმოს ამ ტაძარში, თვალი გაამღოს ქალთა მზერით და ყური ასიამოვნოს რუმინელ მემუსიკეთა გასაოცარ დაკვრით... როცა იგი ცოტა შეზარხოშებული თავის ბინაზე ტანსაცმელი გაუხდელი ჩაიძინებს, მას სულ ოქროს ფულის მთები ესიზმრება.....

გათენდა ოცდა ერთი რიცხვი თვისა. მეორე დღე ჯამაგირის მიღებისა. სოსიკო იღვიძებს. მისი თავი ლამის გასკდეს... სტკივა... პირში ისეთი გემო აქვს, თითქო ჩალა უჭამიაო. რაღაც ეშმაკათ იგი გახსნის საფულეს და მასში ტრამვაის ბილეთისა ყალბი ორშაურიანისა [illegible] საყვარელი სონიჩკას პატარა სურ[illegible] ჰპოებს. ათი თუმანი გაქრა!.. წინ კი ერთი თვის ჯამაგირის მიღებამდე. გუშინდელ ნაყიდ უკანასკნელ თამბაქოს ამოლებს და, მწარე ფიქრებს მიეცემა, თუ როგორ გამოისყიდოს თერძიდან ტანსაცმელი, და რითი იცხოვროს ერთი თვის განმავლობაში...

— დიდ ხანს ფიქრობს იგი...

გუგული.

ეპიგრამა

პატარა ყვავილი,
ტურფა და სურნელი,
(ვინ არის არ იცნობს
გიჟი, თუ სულელი!)
შვად უნდა გაიპრას
(ადვილი საქმეა,)
პირველი ნაპერი
მიბოძეთ აქ მეა.

—

ტყეში თუ ყოფილხართ,
ან გამოქვაბულში
იქ ხალხი ბინადრობს
ზამთარში, ზაფხულში
სპამს,
სძინავს,
ლოცულობს
დღითა და ღამითა.

შავ კაბას ატარებს,
გრძელ თმასა,
გრძელ წვერსა
ჭაბუკსაც შეხვდები
მათში და ბებერსა.

—

აწ ქორონიკონი
ქართული გეკერისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვებით, ნიშნობლივ
შაბათი კვირისა.

—

დავსწეროთ ყოველი
რაც მოგვიძვია
იმ წესით და რიგით,
როგორაც გვჩვევია...
მე ვატყობ, ნაწერი
თქვენ გეუცხობა...
ამგვარი ქართული
არც მოგვეპოება.
მაგრამ, თუ წაკითხვას
უკუღმა ისურვებთ,
თქვენ ამგვარ ცხოველსა
ჩვენშიც ბევრს იგულვებთ.
დღეს იგი ბატონობს
დიდებით მოსილი,
დადის და ხვიხვინებს
მხიარულ — მოცლილი.

კოლო.

———

იმაზე, რაზეც დღეს მინდა
დავწერო კიდევ შარადა,

თანდათან იზრდება,
არ უჩანს ბოლო, საზღვარი:
ბევრს ოქროს ფერი შესძინა
ბევრს დაუქცია სახლ-კარი.

—

ხუთი ასოსგან შედგება
სიტყვა, რომელიც გვეირდება,
მისი მოძებნა დღეს ჩვენში,
მკითხველო გაგიჭირდება.
ძველად კი ხშირად ხმარობდენ,
როგორც გვიმოწმებს რუსთველი:
მის უკვდავ წიგნში იპოვის
თუ გაირჯება მკითხველი.

სიყვარულს, და მის შუა
შოთას თქმით, დიდი ზღვარია
და მეც ვამტკიცებ, ვამტკიცებ...
ეს მცნება უტყუარია.
(მაგრამ გრიშაშვილს თუ კითხავთ,
არ გვეთანხმება ამაში:
სიყვარულს ტყეში ლამაზთან
სჯობია ხუნტრუც-თამაში.)
ამ სიტყვას კუდი მოვწყვიტოთ
და გავატანოთ ზენასა;
(ეჩოთრება როგორღაც
გამოსათქმელათ ენასა.)

—

შემდეგ კი ტყისკენ გავსეროთ
მოვნახოთ არე ტყიანი,
სადაც ბევრ გვარი ნადირი
ბადობს, ურქო თუ რქიანი,
და იქ ვიპოვით იმასაც,
ყელ მოღირებით მდგომელსა,
ხან მწვანე მოლის მაძოვარს,
ხან კლდიდან კლდეზე მხტომელსა.
ამასაც კუდი მოვსწყვიტოთ,
სხვა კი მივაბათ პირველსა:
მზამზარეული შარადა
ხელში შერჩება მკითხველსა.

—

როდესაც ახსნის, შეკრთება,
დაბნდება ელვა ნაკრავი,
ვერც „პრაქტიკტორი“ გაართობს
და ვერც ხმა ტკბილი საკრავი.

ჩახრუხაძე

გურული სცენა

ვაი ამ დროს!

წინათ ერთი სკვინჩილაი ბიეი თუ იყო ჯურუ-
ყვეთის საზოგადოებაში მეც კი ვიყავი კოხტაიე,
მარა აი „ვაინი“ რომ გამოცხადდა
ღერმანე-
ლების ფრონტზე მიკრეს თავი.
ვებძოლე ღერმანელებს, ავსტრი-
ელებს, ბლუღარელებს, თათრებს და, მგონია, რაც
დეიხოცა ნახევარი მე დავხოცე. კაი ოზდა სამ
ჭრილობა ნახევარი მივიღე-და ქე მაქვს გული კა-
ტივით და თვალები კიბორჩხალასავით დაკვარკვა-
ლებული. კაი ბეყრიალა ჯვარ მენდლებიც კი მი-
ვიღე და ქე ვარ კიდევ ბძოლაში. ვითომ რეიზა
არ ვიბძოლებდი: შინ ცოლ შვილს ქე აძლევდენ ჯა-
მაგირს: ვსწერდი ჩემს კნეინას შინ: ჩემი არ შეგე-
შინოს, რომ გამოვალ მგონია შენი პრისტავი ჩეს-
ტასაკ კი ამიღებს, ისე ბზინავს ჩემს გულზე ჯვარ
მენდლები მეთქი.

გეეიხედე გუშხამ და მივიღე მისგან წერი-
ლი:

— ჩემო სულის გვრიტო, ჩემო კოხტაიაო!
შენ გენაცვალოს შენი ბელაკიეი, ჯვარ მენდლე-
ბი ყოლიფერობამდის კაი ხარ, მარა ეს საქმე გლა-
ხა გეპირს—რომ ერთი შენი თავი არ დამანახ-
ვეო.

აქაური ვაჭრები და თავ-აწეული კა-
ცები ერთიკეკალი არ მიდის ჩხუბშიო. ყველაკაი
დისედნიკთან და საცხა საცხა ჩეიწერაო. თუ ჩხუბი
არის ყველი უნდა ჩხუბობდეს,
მამასახლისმა იგი პა-
სობიეს ფული დააყენი ყუყხეო..

ამას იქით აღარც წამიკითხავს. გავაგდე ქაღა-
ლდი. ეკინთე სპიჩკასავით და მოვკურცხლე შინ.

მივაშურე მამასახლის და მოვთხოვე ფული.
მარა მან მითხრა:

— კოხტაიავ, შენზე პირველათ შვიდი თუმანი
გამოვიდა, მერე ხუთი მერე სამი და ახლა თუმა-
ნის მეტი აღარ არისო. მივხედი საქმე რაში იყო და
ვუყვირე.

— მალე დაყარე აქანაი მაი ორი წლის ნაკამი
თვარა აგაძრე სული მეთქინ. შეშინდა და მითხრა:
— ახლა არ მაქ ფულიაო.. რაც ავიღე იგი გავასეს-
ხეო და რომ ეიღებ მაშინ გაგისტორდებიო. მხო-
ლოდ არ გამამხილოვო. დავუჯერე. ჯერ არსად გა-
ვამხელ მარა თუ მისი სიტყვა არ აასრულა მაშ-
ინ კი მე ვიცი.

სტრიხონაი

მესხვირული

(ბაქო)

ვსცდილობ არავის ეწყინოს
ტკბილათ ვსთქვა, მწარეთ ვიმღერო
და სტვირის გუდა დაცლილი
მოძმეთა კენესით გავბერო.

—

ჯერ სავაჭროებს დავხედოთ,
საჭირო ნივთებს ყიდიან...
სადა სავაჭროთ ღარიბნი
ცხვირ დაშვებულნი მიდიან.

—

ბაქოში მოვაჭრეები
სხვა და სხვა ტიპის ხალხია:
ბალახანლებზე ეს ლექსი
ცოტა მკრთალი და თალხია.

—

ფასები, რაღა ფასები!
სიზმრათ რომ არვის სმენია,
მანეთის საქმეს ვერ სტვება
ხუთი მანეთი ჩვენია.

—

კართოფილს პორციობითა,
შაქარი კარტოჩკიანი.
პური არ ცხვება აქა-იქ...
შეშას ვინ ეძებს ჭკვიანი?!

—

წაღა, შარვალი, ხალათი.
სჯობს სულაც რომ არ ჩაეცვათ,
და საპონისა მაგვარათ
პირზე აგური წაესვათ

—

ცოტა გვეტკინოს, რას ავნებს
ჩვენს გაუვრებას აგური,
ნაცვლათ უკლებლივ დაგვრჩება
ჯიბეში ათი შაური.

—

გოკი, თევზი და ქათამი,
ჩვენთვის ხომ თეთრი შაშვია...
არც ისე გვგიყვებულვართ,
რომ შევევაროთ ცხვარშია.

—

თუ კიდევ ასე გაგრძელდა,
ვფიქრობ, დაგვეამენ ტურები,
დანაპირების მოსმენით
სულ დაგვეზარდა ყურები.

—

მე აქ რა მიჭირს, კარგათ ვარ,
ხაზეინს ვემსახურები,
ახლა არა მაქვს, არც წინეთ
მქონია ხაპაპურები.

—

ოპ! რა კარგია ლობიო!
ერთ დროში ვსჭამდი ბლომადა,
დღეს შავი პურის ნატეხი
მიჩანს ჭყლინტ ყველათ... ღომადა.

დია

გამოცანა

(ბათუმისათვის)

ერთ — ერთ კლუბის ბუფეტისა
იგი არენდატორია,
მუშის გაყვლეფ-გაკრეჭაში
ჩვენში არ ჰყავს მას სწორია.

—

ისე ესმის მას ეგ საქმე—
ვით მე და თქვენ ორჯერ ორი.
ამიტომაც ხომ უზომოთ
გაგვისუქდა ოჯახ-ქორი.

კახურ ღვინოს ხუთ მანეთზე
არ დაიკლებს არც ერთ ეტალონი
ექვსზე ნაკლებ არ გაყიდა
ანანოვის „აფხანაურს“.

—

(თუმცა დიდათ არ მაწუხებს
ის რომ ყიდის ძვირათ ღვინოს;
მის ბუფეტში თუ შევიდე,
ათიც გადამახდევინოს).

—

მასზე, ამ გვარ ხელობისთვის,
ბევრი იყო საჩივრები,
მარა „ჩლენი“ რას დაიკლებს,
როცა სწყალობს „სტარშინები“.

—

მას რომ ჰკითხო,—ხალხი უყვარს
თითქო „სოციალისტია“,
ნამდვილათ კი ხალხს ტყავს აძრობს
ამის სპეციალისტია.

—

ისე უყვარს მას მუშები,
როგორც თათარს გოკის დედა,
მსახურნი რომ გაეფიცენ,
აკი მოუარა ბნედა...

—

ძლიერ უყვარს სიკოხტავე,
არშიყია მეტის-მეტი,
ის ბუფეტჩიკს სულაც არ გავს
კაცი არის „დეენტლემენტი“.

—

თავს შესწირავს კოხტა დიაცს.
უყვარს შანტან-სალონები,
და კიდევაც გაეძვირა
დუხი, ოდეკალონები.

—

იქითაც სჭრის, აქეთაც სჭრის,
საქმეს აწყობს ერთობ ბრძნულათ,
ვინ იფიქრებს: ერთ დროს იგი
მსახურებდა მზარეულათ.

ანდერსკ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელისმოწერა 1916 წლისათვის

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახ

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი, ხოლო გამოცემის საქმეს ანტონრა „განათლება“

ჟურნალის ფასი: 12 თვით 6 მ. —
6 თვით 3 მ. 50 კ.
3 თვით 1 მ. 80 კ.
1 თვით — 60 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შ.რადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе,
Ольгинская 6,
Почтовый ящикъ № 96
(ეშმაკის მათრახისთვის)

*) ეს ადგ ილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის.

რედაქტორ გამომც. თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა. ვ. რუბაშისა, გამაყვის ფსანგ.,